

## ნინო ჯორბენაძე

### შოთა რუსთველი თუ შოთა რუსთაველი?

თანამედროვე ქართულში დიდი ხანია მიმდინარეობს კამათი თემაზე – რომელი ფორმა უნდა გამოვიყენოთ გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის ვინაობის სახელის აღსანიშნავად – **რუსთველი** თუ **რუსთაველი**?

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თავად ავტორი თხზულებაში თავს „**რუსთველ**“ ფორმით მოიხსენიებს (სულ ნაწარმოებში განსახილველი ფორმა სამჯერაა მოცემული და სამჯერვე – შეკუმშული ვარიანტით). ასევე შეკუმშული (**რუსთველი**) ფორმით წარმოგვიდგება თხზულების ავტორის ვინაობის სახელი მე-18 საუკუნემდე შექმნილ ყველა სხვა წერილობით წყაროში...

„**რუსთაველ**“ ვარიანტის დამკვიდრება ანტონ კათალიკოსის პერიოდიდან (მისივე უშუალო ძალისხმევით) იწყება და დღეს ის, ფაქტობრივად, გაბატონებულ ფორმად გვევლინება.

აღნიშნულ საკითხზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა დიდმა ქართველმა ენათმეცნიერმა აკაკი შანიძემ, რომელმაც საკითხი „**რუსთველ**“ ფორმის (როგორც ამოსავალი და პირველადი ვარიანტის) სასარგებლოდ გადაწყვიტა [შანიძე 1986].

ამავე (**რუსთველ**) ფორმას ემხრობოდა ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი კ. კეკელიძე. ამ ვარიანტს მიანიჭა უპირატესობა თავის გამოკვლევებში პავლე ინგოროყვამაც. ამ ფორმას უჭერდა მხარს ა. ბარამიძეც\*...

თანამედროვე მონაცემებით კი შეუკუმშავ (**რუსთაველ**) ფორმას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გაბატონებული პოზიცია უჭირავს. სწორ ფორმად არის ის აღიარებული **ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც** [ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1968].

---

\* ამ ფუძესთან დაკავშირებული ერთადერთი არასადავო და უალტერნატივო ფორმა თანამედროვე მეტყველებაში არის – **რუსთველოლოგია** (თუმცა, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი შეუკუმშავ ვარიანტსაც აღიარებს (მომკვლევებულ, იშვიათ ფორმად): [**რუსთაველოლოგია** // **რუსთველოლოგია**]).

რამ გამოიწვია ეს ცვლილება და რატომ დამკვიდრდა ასე საყოველთაოდ შეუკუმშავი (**რუსთაველ**) ვარიანტი? მიზეზი მარტივია – თანამედროვე ქართული ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით (რომელიც ძველი და საშუალო ქართულის ფონოტაქტიკის წესებისგან განსხვავდება), უფრო მართებული ფორმაა „**რუსთაველი**“ („სთვ“ ბგერათმომდევრობა „რუსთველ“ ფუძეში ქართულისათვის დღეს უკვე არაბუნებრივი კომპლექსია). „**რუსთაველ**“ ვარიანტის დამკვიდრებას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ აღნიშნული ფორმა: 1. არსებითად, საკუთარი კი არა, პოეტის ვინაობის სახელია და 2. უკავშირდება ტოპონიმ „**რუსთავს**“, რომელიც დღესაც არსებობს, და რომლისაგანაც წარმომავლობის სახელად თანამედროვე ქართულში სწორედ „**რუსთაველი**“ (და არა „**რუსთველი**“) იხმარება.

მაშ, რომელი ფორმაა სწორი – **შოთა რუსთაველი** თუ **შოთა რუსთაველი**?

ქართული ენის ნორმების დადგენის პრინციპების მიხედვით, მოცილე მოვლენათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

1. უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;
2. გამართლებულია ეტიმოლოგიურად, მორფოლოგიურად;
3. მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით...

ამ პუნქტების მიხედვით თანამედროვე ქართულში სავსებით კანონიერ და მართებულ ფორმად მიიჩნევა „**რუსთაველ**“ ვარიანტიც, რომელმაც ისედაც გაიკვლია გზა და დიდი უპირატესობითაც სარგებლობს როგორც ყოველდღიურ, ასევე – სამეცნიერო, მხატვრული თუ სხვა ხასიათის თხზულებათა ენაში.

ამ გავრცელებული ფორმის (**რუსთაველი**) მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ორ ძირითად დებულებად შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. რატომ არ გვხვდება შეუკუმშავი (**რუსთაველი**) ფორმა თავად ნაწარმოებში;
2. რის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს ეს შეუკუმშავი ფორმა (**რუსთაველი**) სწორ ვარიანტად თანამედროვე ქართულში.

პირველი არგუმენტის პასუხად (კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, რომ ნაწარმოებში განსახილველი ფორმა სულ სამჯერაა მოცემული და სამჯერვე – შეკუმშული ვარიანტით) შეიძლება შესაბამისი

სტროფის რიტმული მახასიათებლები მოვიშველიოთ (რომლებიც აღნიშნულ მონაკვეთებში სწორედ რომ შეკუმშულ – **რუსთველ** – ფორმას მოითხოვენ)... და ასეც რომ არ იყოს – მეორე არგუმენტზე დასაბუთებული პასუხი ზემოთ არის მოცემული...

მაშასადამე, კითხვაზე, რომელი ფორმაა ნორმის თვალსაზრისით სწორი – **შოთა რუსთველი** თუ **შოთა რუსთაველი**? – თამამად შეიძლება ვუპასუხოთ – **ორივე!**

### ლიტერატურა

**შანიძე 1986** – ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, თხზულებანი, ტ. 5. თბილისი.

**ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1968** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950-1964; 2008-2010, თბილისი.

**ნორმები 1970** – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

Nino Jorbenadze

### Shota Rustveli vs Shota Rustaveli

#### Summary

Modern Georgian has been witnessing a longstanding debate over which form – **Rustveli** or **Rustaveli** – should be considered as a more proper **personal name** for great Georgian poet Shota Rustaveli.

It is commonly known that, in his work, the author refers to himself as “**Rustvel**” (the poem lists only three instances of the name, all three in a

compressed form). All written sources created before the 18<sup>th</sup> c. also confirm the compressed form (**Rustveli**) of the name of the great poet.

The introduction of the form “**Rustavel**” dates back to Anton Catholikos’ time (through his personal endeavors), and is currently, in fact, a dominant form.

Akaki Shanidze, an eminent Georgian linguist, has also devoted a lengthy article to this question in which he argues in favour of “**Rustvel**” (as being the original and initial form).

The contemporary data, however, record the uncompressed form (**Rustavel**), as already noted above, as dominant. What has caused this modification and why has the uncompressed form (**Rustavel**) become so universally established? The reason is simple: pursuant to the rules of modern Georgian phonotactics (which are different from the rules of the old and middle Georgian phonotactics), “**Rustaveli**” is a more correct form (the sound sequence “**stv**” in the stem “**Rustvel**” has become unnatural for present-day Georgian). Another factor conducive to the enforcement of “**Rustavel**” is that the latter (1), as a matter of fact, is not a proper name but the poet’s **personal name** and (2) is related to the toponym “**Rustav**”, also existing at present, the name of origin derived from which and widespread in modern Georgian is “**Rustaveli**” (rather than “**Rustveli**”).

So, which form is actually correct: **Shota Rustveli** or **Shota Rustaveli**?

According to the principles underlying the formation of the norms of the Georgian language, in the case of the contending phenomena, priority shall be granted to the one that:

1. **Is more widespread in literary Georgian;**
2. **Is justified both from the etymological and morphological point of view;**
3. **Is acceptable in relation to the complexes inherent in the Georgian language...**

Under the above clauses, the form “**Rustavel**” that has already forced its way into the language and has gained a considerable advantage in the everyday language as well as in scientific, artistic or other works is also considered as perfectly legal and appropriate.